ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ119. 11922356001**

თარიღი:**22/12/2022**

<u>წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეებზე და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირზე ფულადი ჯილდოს გაცემის შესახებ</u>

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11, მე-17 და 28-ე მუხლის პირველი პუნქტის, „პროფესიული საჯარო მოხელის წახალისების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის #203 დადგენილებით დამტკიცებული პროფესიული საჯარო მოხელის წახალისების წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეებზე და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირზე ფულადი ჯილდოები დანართში მითითებული პროცენტული ოდენობებით.

2. დაევალოს წალკის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს ამირან საყვარელიძეს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტის აღსასრულებლად საჭირო შესატყვისი სამართლებრივი და ფინანსური ხასიათის ღონისძიებების გატარება დანართის მიხედვით მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით.

3. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11).

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი